ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №2989904

ნომერი: AR1462521

თარიღი : 08.12.2016

გაცემის თარიღი : 29.12.2016

გაცნობის თარიღი : 04.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქვიშხეთის ქუჩა N51 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ქვიშხეთი , N 49 / ქალაქი თბილისი , ქვიშხეთის ქ.N49ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე დგებუაძე პ/ნ 01017002402
- ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის 17

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2016 წ. №2549863 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 08/12/2016 წ. AR1462521 განაცხადით მომართა კონსტანტინე დგებუაძემ და მოითხოვა ტექნიკური შეცდომის გასწორება ამავე სამსახურის 19.04.2016 წ. №2549863 ბრძანებაში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 19.04.2016 წ. №2549863 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი – ნაძალადევი, ქვიშხეთის ქუჩა №49-ში (ს.კ.01.12.08.004.019)/ ქვიშხეთის ქუჩა №51-ში (საკადასტრო კოდი №01.12.08.001.027) / ქვიშხეთის ქუჩა №51-ში (ს.კ.№01.12.08.001.029), შპს "გდგ"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტებით, ზემოთ ხსენებული ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა შეცდომები, კერძოდ: არასწორად იქნა მითითებული საცხოვრებელი ფართობი, საზაფხულო ფართობი, ავტოსადგომის ფართობი, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი და საერთო ფართობი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს გასწორდეს ტექნიკური შეცდომა სამსახურის 19.04.2016 წ. №2549863 ბრძანებაში და დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3094.83; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:621.86; ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:784.87; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:377.99; საერთო ფართობი (კვ.მ).:4879.55.

ამასთან, განმცხადებლის მიერ, გადმოგზავნილ იქნა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის იდენტური გეგმები, იდენტურ ფორმატში შესწორებული ფართების დაფიქსირებით.

დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინდა, რომ განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გასწორებული გეგმები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომების გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2016 წ. №2549863 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).:3094.83; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:621.86; ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).:784.87; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).:377.99; საერთო ფართობი (კვ.მ).:4879.55. სამსახურის 19.04.2016 წ. №2549863 ბრძანებაში მითითებული დანარჩენი ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2016 წ. №2549863 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები ჩანაცვლდეს 08/12/2016 წ. AR1462521 განცხადებით წარმოდგენილი გეგმებით;
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 19.04.2016 წ. №2549863 ბრძანებასთან ერთად;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.